



ლოგიკური მსჯელობა და რაოდენობრივი მსჯელობა

დღეს გამოცდა ჩატარდება ლოგიკურ მსჯელობასა და რაოდენობრივ მსჯელობაში.

1. ლოგიკური მსჯელობის ნაწილი შედგება 17 ტესტური დავალებისაგან.
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 17.
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 10 წუთი.
2. რაოდენობრივი მსჯელობის ნაწილი შედგება 19 დავალებისაგან.
ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური ქულაა 19.
ტესტის ამ ნაწილის შესასრულებლად გეძლევათ 1 საათი და 15 წუთი.

სწორი პასუხის გაცემისათვის იწერება 1 ქულა.

თუ არცერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისათვის აკლდება 0,2 ქულა (ანუ იწერება -0,2 ქულა).

გისურვებთ წარმატებას!



ლოგიკური მსჯელობა

III ვარიანტი

17 დავალება

დრო – 1 სთ 10 წთ

1. მოცემულია წინადადება:

- სულხანმა შენგენის ზონის ყველა ქვეყანაში იმოგზაურა, გარდა ლუქსემბურგისა და ლიხტენშტაინისა.

ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს მოცემული წინადადებიდან?

- (ა) შენგენის ზონის ქვეყანა, რომელშიც სულხანს არ უმოგზაურია, ან ლუქსემბურგი, ან ლიხტენშტაინია.
- (ბ) ყველა ის ქვეყანა, რომლებშიც სულხანს უმოგზაურია, გარდა ლუქსემბურგისა და ლიხტენშტაინისა, შენგენის ზონისაა.
- (გ) თუ ქვეყანა შენგენის ზონაში არ არის, მაშინ სულხანს ამ ქვეყანაში არ უმოგზაურია.
- (დ) თუ რომელიმე ქვეყანაში სულხანს არ უმოგზაურია, მაშინ ეს ქვეყანა მხოლოდ ლუქსემბურგი ან ლიხტენშტაინი შეიძლება იყოს.
- (ე) იმ ქვეყნებიდან, რომლებშიც სულხანს უმოგზაურია, მხოლოდ ლუქსემბურგი და ლიხტენშტაინი არ არიან შენგენის ზონაში.

2. ძაღლების სიმარჯვეში შეჯიბრზე, ფინალში, სულ ხუთი ძაღლი – დობი, კოკი, როქსი, სნუპი და ჯინჯერი – რიგ-რიგობით თითოჯერ გამოვიდა. ცნობილია, რომ:

- სნუპი არ გამოსულა უშუალოდ კოკის შემდეგ.
- კოკისა და ჯინჯერის გამოსვლებს შორის ორი ძაღლი გამოვიდა.
- ჯინჯერისა და როქსის გამოსვლებს შორის სამი ძაღლი გამოვიდა.
- როქსი უფრო ადრე გამოვიდა, ვიდრე კოკი.

ჩამოთვლილთაგან რომელია ჭეშმარიტი?

- (ა) ჯინჯერი პირველი გამომსვლელი იყო, დობი – მეორე.
- (ბ) სნუპი მეორე გამომსვლელი იყო, დობი – მესამე.
- (გ) როქსი პირველი გამომსვლელი იყო, კოკი – მესამე.
- (დ) დობი მესამე გამომსვლელი იყო, ჯინჯერი – მეხუთე.
- (ე) კოკი მეოთხე გამომსვლელი იყო, სნუპი – მეხუთე.

3. მარიამი:

ზარალის ანაზღაურებისათვის აუცილებელია პოლისისა და დამოწმებული გაანგარიშების წარდგენა. რადგან მე ეს ორივე საბუთი წარდგენილი მაქვს, ეკუთვნის ზარალის ანაზღაურება.

ჩამოთვლილთაგან რომელი პირობის შესრულება გახდის მარიამის მიერ გამოთქმულ დასკვნით წინადადებას ჭეშმარიტს?

- (ა) დამოწმებული გაანგარიშების წარდგენა მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც ეკუთვნის ზარალის ანაზღაურება.
- (ბ) მარიამს ანაზღაურების ლიმიტისათვის არ გადაუჭარბებია.
- (გ) პოლისისა და დამოწმებული გაანგარიშების წარდგენის გარეშე არავის ეკუთვნის ზარალის ანაზღაურება.
- (დ) პოლისის წარდგენა საკმარისია დამოწმებული გაანგარიშების მისაღებად.
- (ე) ზარალის ანაზღაურების უფლების ქონა საკმარისია ამ ანაზღაურების მისაღებად.

4. სუპერმარკეტმა შეწყვიტა თანამშრომლობა A მომწოდებელთან იმ საბაზით, რომ ამ უკანასკნელმა ვერ წარმოადგინა პროდუქციის წარმომავლობის სერტიფიკატი. თუმცა, ეს სუპერმარკეტი კვლავ თანამშრომლობს მსგავსი პროდუქციის B მომწოდებელთან, რომელსაც ასევე არ აქვს ანალოგიური სერტიფიკატი. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ A-სთან თანამშრომლობის შეწყვეტა მხოლოდ სერტიფიკატს არ უკავშირდება.

ჩამოთვლილთაგან ყველაზე მეტად რომელი გააძლიერებს მსჯელობაში მოყვანილი ვარაუდის მართებულობას?

- (ა) A მომწოდებელთან თანამშრომლობა სხვა სუპერმარკეტმაც შეწყვიტა.
- (ბ) სუპერმარკეტი B მომწოდებელთანაც აპირებს თანამშრომლობის შეწყვეტას.
- (გ) B მომწოდებელი, პროდუქციის ექსკლუზიური მიწოდების შემთხვევაში, სუპერმარკეტს განსაკუთრებულ პირობებს სთავაზობს.
- (დ) მოქმედი კანონმდებლობით, ზოგ პროდუქციაზე წარმომავლობის სერტიფიკატის წარმოდგენა არ არის სავალდებულო.
- (ე) სუპერმარკეტი ანალოგიური პროდუქციის მიღებას წარმომავლობის სერტიფიკატის მქონე C მომწოდებლისგან აპირებს.

5. ცნობილია, რომ:

მიხო ოჯახში ნაბოლარაა. ჭადრაკის წრეზე ის მუდამ დამოუკიდებლად მიდის, თუმცა, ძიუდოს წრეზე სიარულისას მას მუდამ მიჰყვება ძმა ან და.

ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს მოცემულობიდან?

- I. თუ მიხო წრეზე მიდის, მაშინ მას მიჰყვება ძმა ან და.
- II. თუ მიხო წრეზე დამოუკიდებლად მიდის, მაშინ ეს არ არის ძიუდოს წრე.
- III. თუ მიხო ძიუდოს წრეზე მიდის, მაშინ მას ძმა მიჰყვება.

- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ II
- (გ) მხოლოდ III
- (დ) მხოლოდ I და II
- (ე) მხოლოდ II და III

6. კომპანიას ხუთი კანდიდატიდან – დემნა, ვალერი, ინგა, მართა და ნაზი – უნდა შეერჩია სტაჟიორები. ოთხი მენეჯერიდან თითოეულმა ორი მოთხოვნა წამოაყენა:

I მენეჯერი: ინგა უნდა მივიღოთ. დემნა არ უნდა მივიღოთ.

II მენეჯერი: მართა უნდა მივიღოთ. ნაზი არ უნდა მივიღოთ.

III მენეჯერი: დემნა უნდა მივიღოთ. ვალერი არ უნდა მივიღოთ.

IV მენეჯერი: ნაზი უნდა მივიღოთ. ინგაც უნდა მივიღოთ.

საბოლოოდ შეარჩიეს სულ ორი სტაჟიორი. ამასთან, თითოეული მენეჯერის მხოლოდ ერთი მოთხოვნა დაკმაყოფილდა. ვინ შეარჩიეს სტაჟიორებად?

- (ა) ინგა და დემნა
- (ბ) ინგა და ვალერი
- (გ) დემნა და მართა
- (დ) ნაზი და მართა
- (ე) ვალერი და ნაზი

7. მოცემულია მსჯელობა:

რადგან სხდომაზე დამსწრე პარლამენტართა რაოდენობა კვორუმს აჭარბებს, ამიტომ მათგან უმრავლესობის წევრ დეპუტატთა რაოდენობაც აჭარბებს კვორუმს.

ჩამოთვლილთაგან რომელ მსჯელობაშია დაშვებული ისეთი ლოგიკური შეცდომა, რომელიც ყველაზე მეტად მსგავსია მოცემულ მსჯელობაში დაშვებული ლოგიკური შეცდომის?

- (ა) კვლევითი ჯგუფის თითოეულმა წევრმა რეგიონის ყველა მაუწყებელი მოიარა. უნდა დავასკვნათ, რომ კვლევითმა ჯგუფმა რეგიონის ყველა მაუწყებელი მოიარა.
- (ბ) სასტუმრო „უნივერსის“ ადგილების რაოდენობა ნაკლებია კონფერენციის ყველა მონაწილეთა რაოდენობაზე. შესაბამისად, „უნივერსის“ ადგილების რაოდენობა არ არის საკმარისი კონფერენციის ქართველი მონაწილეების განსათავსებლად.
- (გ) რადგან ზოგიერთ ქუჩაზე მოძრაობა აკრძალულია ნებისმიერი სახის ავტოტრანსპორტისათვის, ამ ქუჩებზე სატვირთო ავტომობილების მოძრაობაც აკრძალულია.
- (დ) ლიტერატურული ჟურნალის საიუბილეო ნომერში გამოქვეყნებული ყოველი პოეტური ნაწარმოები პოემაა. შესაბამისად, ამ ნომერში პოემების გარდა სხვა ნაწარმოები არ არის გამოქვეყნებული.
- (ე) თვითმფრინავებისათვის ჩვენ მიერ დამზადებული ყოველი დეტალი უმაღლესი ხარისხისაა. შესაბამისად, ამ თვითმფრინავების თითოეული დეტალი უმაღლესი ხარისხისაა.

8. ნეოპრენის საცურაო კოსტუმს ბევრი უპირატესობა აქვს. ის საშუალებას აძლევს ადამიანს, რომ უფრო სწრაფად იცუროს: ამცირებს წყალთან ხახუნის ძალას; ხელს უწყობს ტივტივს, რაც ცურვის ტექნიკას აახლოებს იდეალურთან და ხელს უწყობს უფრო სწრაფად ცურვას; ცივ წყალში სხეულს იცავს გადაციებისაგან. თუმცა, დაკვირვება აჩვენებს, რომ ნეოპრენის კოსტუმები შედეგს მოყვარული მოცურავეების შემთხვევაში ბევრად უფრო აუმჯობესებს, ვიდრე პროფესიონალი მოცურავეების შემთხვევაში.

ჩამოთვლილთაგან რომელი იძლევა დაკვირვების შედეგების უკეთეს ახსნას?

- (ა) მოყვარული მოცურავეები იმავე საცურაო კოსტუმებს იყენებენ, რასაც პროფესიონალები.
- (ბ) სხვადასხვა ტემპერატურული პირობებისათვის სხვადასხვა სისქის ნეოპრენი გამოიყენება, რაც ყველა ფაქტორზე აისახება.
- (გ) რაც უფრო უკეთესია მოცურავე, მით უკეთ ახერხებს ის ცურვისას წყალზე ტივტივს.
- (დ) კვლევაში უფრო მეტი პროფესიონალი მოცურავე იღებდა მონაწილეობას, ვიდრე მოყვარული.
- (ე) ნეოპრენისაგან განსხვავებული მასალისაგან დამზადებული საცურაო კოსტუმებიც მოყვარულების შედეგებს უფრო მეტად აუმჯობესებს, ვიდრე პროფესიონალების.

9. მოცემულია პირობა:

- ერთ დასტად, ერთმანეთზე, სამი ცალი ბანქო დევს.
- თითოეული ბანქო ან წითელია, ან შავი.

თუ ბანქოების რიგითობა ითვლება ქვემოდან ზემოთ, მაშინ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი უნდა დაემატოს მოცემულობას, რომ ამ ბანქოებიდან რომელიმე ორის შესახებ ჭეშმარიტი იყოს წინადადება:

წითელი ბანქოს უშუალოდ ზემოთ შავი ბანქო დევს.

- (ა) პირველი ბანქო წითელია, ხოლო მესამე – შავი.
- (ბ) პირველი ბანქო შავია, ხოლო მესამე – წითელი.
- (გ) მეორე ბანქო შავია, მესამე – წითელი.
- (დ) დასტაში არის ერთი შავი და ორი წითელი ბანქო.
- (ე) დასტაში არის ერთი წითელი და ორი შავი ბანქო.

10. რეგიონში მოყვანილი ხილის შესახებ ცნობილია, რომ:

- ყველა ციტრუსი მომწავოა, ხოლო კენკრათაგან მხოლოდ ზოგიერთია მომწავო.
- არცერთი მომწავო ხილი არ არის საექსპორტო.
- ყოველი არამომწავო ხილი საექსპორტოა.

ამ რეგიონში მოყვანილი ხილის შესახებ ჩამოთვლილ დასკვნათაგან რომელი გამომდინარეობს მოცემულობიდან?

- (ა) ზოგიერთი საექსპორტო ხილი მომწავოა.
- (ბ) არცერთი საექსპორტო ხილი არ არის კენკრა.
- (გ) არცერთი საექსპორტო ხილი არ არის ციტრუსი.
- (დ) ზოგიერთი ხილი არც ციტრუსია, არც – კენკრა.
- (ე) თუ ხილი საექსპორტო არ არის, მაშინ ის კენკრაა.

11. მოცემულია მსჯელობები:

- I. ნახატის დახატვა ნებისმიერი ფლომასტერით არის შესაძლებელი. შესაბამისად, თუ ვიღაცას ფლომასტერი არ აქვს, ის ვერ შეძლებს ნახატის დახატვას.
- II. მცხეთიდან ზესტაფონში გაგზავნილი ზოგიერთი ამანათი თბილისს გაივლის. ასეთი ამანათებიდან ზოგიერთი ადრესატთან ქუთაისის გავლით ხვდება. შესაბამისად, მცხეთიდან ზესტაფონში გაგზავნილი ზოგიერთი ამანათი ადრესატთან ქუთაისის გავლით ხვდება.
- III. ბათუმის პორტში მდგომი ქართული გემებიდან არცერთი არ არის საკრუიზო ლაინერი. შესაბამისად, რადგან ბათუმის პორტში მდგომი უცხოური გემებიდან თითოეული არის ტანკერი, უნდა დავასკვნათ, რომ ბათუმის პორტში არ დგას არცერთი საკრუიზო ლაინერი.

მოცემულ მსჯელობათაგან რომელია მართებული?

- (ა) მხოლოდ I
- (ბ) მხოლოდ II
- (გ) მხოლოდ III
- (დ) მხოლოდ I და III
- (ე) მხოლოდ II და III

ამოცანები 12-14 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

შენობა რამდენიმე ფერადი ვიტრაჟით არის გაფორმებული. სულ გამოყენებულია ექვსი ფერი: იისფერი, ლურჯი, მწვანე, ყვითელი, შინდისფერი, წითელი. თითოეული ვიტრაჟი შემდეგი წესების დაცვით დამზადდა:

- თუ ვიტრაჟში გამოყენებულია ლურჯი, მაშინ გამოყენებულია იისფერიც.
- თუ ვიტრაჟში გამოყენებულია შინდისფერი, მაშინ გამოყენებულია ლურჯიც.
- თუ ვიტრაჟში არ არის გამოყენებული მწვანე, მაშინ გამოყენებულია წითელი.
- თუ ვიტრაჟში გამოყენებულია იისფერი, მაშინ მასში არ არის გამოყენებული არც წითელი და არც ყვითელი.

12. ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს ერთ-ერთ ვიტრაჟში გამოყენებული ფერების სრული ჩამონათვალი?

- (ა) წითელი, ლურჯი, ყვითელი, შინდისფერი.
- (ბ) წითელი, ლურჯი, იისფერი.
- (გ) წითელი, ყვითელი, შინდისფერი, მწვანე.
- (დ) ლურჯი, შინდისფერი, იისფერი.
- (ე) ლურჯი, იისფერი, მწვანე.

13. თუ რომელიღაც ვიტრაჟში არ არის გამოყენებული მწვანე, მაშინ მაქსიმუმ რამდენი ფერი შეიძლება იყოს მასში გამოყენებული?

- (ა) ერთი
- (ბ) ორი
- (გ) სამი
- (დ) ოთხი
- (ე) ხუთი

14. თუ რომელიღაც ვიტრაჟში გამოყენებულია ყვითელი, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელია აუცილებლად ჭეშმარიტი?

- (ა) მასში გამოყენებულია წითელი.
- (ბ) მასში გამოყენებულია ლურჯი.
- (გ) მასში გამოყენებულია იისფერი.
- (დ) მასში გამოყენებული არ არის მწვანე.
- (ე) მასში გამოყენებული არ არის შინდისფერი.

ამოცანები 15-17 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:

გადაცემაში ერთმანეთის მიყოლებით სულ ოთხი სიუჟეტი გავიდა. თითო სიუჟეტი დაეთმო ოთხი თაობის წარმომადგენლებიდან – ბუმერები, X თაობა, მილენიალები, Z თაობა – თითოს. ეს სიუჟეტები მოამზადა ოთხმა ჟურნალისტმა: ომიაძემ, პატაშურმა, ჟვანიამ და რატიანმა, თითომ – თითო. ცნობილია, რომ:

- გადაცემის პირველი სიუჟეტი პატაშურმა მოამზადა.
- თუ რატიანმა X თაობის შესახებ მოამზადა სიუჟეტი, მაშინ ბუმერების შესახებ სიუჟეტი მოამზადა ომიაძემ.
- თუ Z თაობის შესახებ სიუჟეტი ჟვანიას არ მოუმზადებია, მაშინ მილენიალების შესახებ სიუჟეტი რატიანს არ მოუმზადებია.
- სიუჟეტი ბუმერების შესახებ უფრო ადრე გავიდა, ვიდრე სიუჟეტი Z თაობის შესახებ, მათ შორის კი მხოლოდ რატიანის მიერ მომზადებული სიუჟეტი გავიდა.

15. ჩამოთვლილთაგან რომელში შეიძლება იყოს სწორად მოცემული სიუჟეტების ავტორები და გადაცემაში გასვლის თანამიმდევრობა?

- (ა) ბუმერები – პატაშური, X თაობა – რატიანი, Z თაობა – ომიაძე, მილენიალები – ჟვანია.
- (ბ) X თაობა – პატაშური, ბუმერები – ჟვანია, მილენიალები – რატიანი, Z თაობა – ომიაძე.
- (გ) ბუმერები – ომიაძე, X თაობა – რატიანი, Z თაობა – პატაშური, მილენიალები – ჟვანია.
- (დ) ბუმერები – პატაშური, მილენიალები – ომიაძე, X თაობა – ჟვანია, Z თაობა – რატიანი.
- (ე) მილენიალები – პატაშური, ბუმერები – ომიაძე, X თაობა – რატიანი, Z თაობა – ჟვანია.

16. რომელია ის ჟურნალისტი, ვის შესახებაც შესაძლებელია იმის ცალსახად დადგენა, თუ რა სიუჟეტი მოამზადა მან?

- (ა) ჟვანია
- (ბ) პატაშური
- (გ) ომიაძე
- (დ) რატიანი
- (ე) არცერთი

17. ჩამოთვლილთაგან რომელი პირობა არ იქნება საკმარისი იმის დასადგენად, თუ ვინ რომელი სიუჟეტი მოამზადა?

- (ა) პირველი სიუჟეტი ბუმერების შესახებ იყო.
- (ბ) პირველი სიუჟეტი X თაობის შესახებ იყო.
- (გ) პირველი სიუჟეტი მილენიალების შესახებ იყო.
- (დ) ბოლო სიუჟეტი Z თაობის შესახებ იყო.
- (ე) ბოლო სიუჟეტი X თაობის შესახებ იყო.

ტესტის დასასრული